საიდ.
№71993/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №94-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), ი. მუღალაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ასპენ ფარმაქეა ჰოლდინგზ ლიმიტიდ”-ის (Aspen Pharmacare Holdings Limited) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №94-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 მარტის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №340/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „aspen” (საიდ. №71993/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 მარტის №340/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "aspen" +გამოსახულება რეგისტრაციას არ ექვემდებარება, რადგან იგი მგავსია კომპანია "სანდოზ გმბჰ"-ს (მის: ბიოქემიეშტრასე 10, 6250 კუნდლი) სახელზე რეგიტრირებული სასაქონლო ნიშნისა "OSPEN" (რეგისტრაციის №10038; რეგისტრაციის თარიღი: 09.07.1998). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშნები შესრულებულია ლათინური ასოებით, სიტყვიერ ნაწილში მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთი ლათინური ასო ბგერა "O"-ა, რომელიც არ სძენს ნიშნებს ერთმანეთის მიმართ განმასხვავებლობას, ისევე, როგორც გამოსახულება, რომელიც მოთავსებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანში, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ასპენ ფარმაქეა ჰოლდინგზ ლიმიტიდ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, – სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა". „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის მე–18 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, – "ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებული შედარების დროს სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია მათი აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, რისთვისაც ექსპერტიზამ უნდა

გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა არსი), მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას.“ აპელანტის პოზიციით, საერთო შთაბეჭდილებით დაპირისპირებული ნიშნები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, კერძოდ, განცხადებული სიმბოლო არის კომბინირებული ნიშანი, რომელიც მოიცავს სიტყვიერ და გამოსახულებით ელემენტებს. სიტყვიერი ელემენტი, შესრულებულია ლათინური, ანბანის ნუსხური ასოებით, ლურჯ ფერში “aspen” (ასპენ) და ასევე, ლურჯი ფერში წვეთის, სიმბოლური გამოსახულებისგან, რომელშიც ჩასმულია პატარა წითელი წრე თეთრ ფონზე და წარმოადგენს აპელანტის დასახელების პირველ სიტყვას, რომელიც სემანტიკური მნიშვნელობით, თარგმანში ნიშნავს – „ვერხვს”. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბანის მთავრული, სტანდარტული ასოებით შესრულებულ სიტყვას “OSPEN” (ოსპენ). მართალია, ორივე ნიშნის შემადგენლობაში არის ასოთა მსგავსი წყობა, მაგრამ მთავარია, რომ განსხვავებულია მათი პირველი ასოები, „a“(ა) და „O“ (ო), რაც სძენს ნიშნების სიტყვიერ ელემენტებს განსხვავებას. ამასთან, დაპირისპირებულ ნიშანს არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა. შესაბამისად განცხადებული სიმბოლო და დაპირისპირებული ნიშნის “OSPEN” ყველა აღნიშნული კრიტერიუმით განსხვავდება რეგისტრირებული სიტყვიერი ნიშნისგან. განცხადებული სიმბოლო წარმოადგენს აპელანტის ლოგოს, მის სავიზიტო ბარათს და მომხმარებელიც მას დაიმახსოვრებს ადვილად და ნაკლებად შესაძლებელია აერიოს იგი დაპირისპირებულ ნიშანთან. აპელანტის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ფარმაცევტულ პროდუქციას, რომლის შეძენისას მომხმარებელი გაცილებით ფრთხილია და ძირითადად, ეყრდნობა ექიმის დანიშნულებას. მით უმეტეს, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი განკუთვნილია კონკრეტული მედიკამენტისთვის, კერძოდ ანტიბიოტიკებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებს და მხოლოდ ექიმის დანიშნულებით ინიშნება.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ მიუხედავად დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებისა ისინი საერთო შთაბეჭდილებით განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. სააპელაციო პალატამ ნიშნების შედარების დროს მსგავსება/განსხვავების დადგენისას იხელმძღვანელა სიმბოლოების ფონეტიკური, ვიზუალური და სემანტიკური კრიტერიუმებით. ამათგან, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშანი მსგავსია, მხოლოდ ფონეტიკურად ერთი გამოითქმის როგორც „ასპენი" და მეორე როგორც „ოსპენი". თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში განსხვავებულია სიტყვების საწყისი ელემენტი, რაც წარმოთქმისას მათ საკმაო განმასხვავებლობას სძენს. რაც შეეხება, ნიშნების ვიზუალურ მხარეს განცხადებული ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს რომელიც მოიცავს როგორც სიტყვიერ, ასევე გამოსახულებით ნაწილს. სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია ლურჯ ფერში ლათინური ანბანის პატარა ასოებით, ხოლო გამოსახულებითი ელემენტი, რომელიც განთავსებულია სიტყვიერი ნაწილის წინ წარმოადგენს ლურჯი ფერის წვეთის სიმბოლურ გამოსახულებას, რომელშიც ჩასმულია პატარა წითელი წრე თეთრ ფონზე. მაშინ როდესაც დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს მხოლოდ სიტყვიერ ნიშანს, რომელიც შესრულებულია ლათინური ასომთავრული სტანდარტული შრიფტით „OSPEN" და არ შეიცავს გამოსახულებას. განცხადებულ ნიშანს ასევე გააჩნია

სემანტიკური მნიშვნელობა და ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც – ვერხვი. გარდა ამისა, „aspen“ არის პოპულარული ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტი კოლორადოს შტატში (აშშ). ხოლო, რაც შეეხება, დაპირისპირებულ ნიშანს, მას არ გააჩნია რაიმე შინაარსობრივი დატვირთვა და იგი ფანტაზიურ ნიშანს წარმოადგენს. განსხვავებულია ასევე, სასაქონლო ნიშნების შედარებისას საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენენ მომხმარებელზე. კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ფარმაცევტული საშუალებების შეძენისას მომხმარებელი განსაკუთრებით ყურადღებიანია და ძირითადად ყიდულობს ექიმის დანიშნულებით, რაც სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას კიდევ უფრო მეტად ამცირებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „ „aspen” (საიდ. №71993/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ასპენ ფარმაქეა ჰოლდინგზ ლიმიტიდ”-ის (Aspen Pharmacare Holdings Limited) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 მარტის №340/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშანი „aspen" (საიდ. №71993/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	ი. მუღალაშვილი